საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №1

ქ. ბათუმი 22 ივლისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო კომისიის წევრები:

1. თეიმურაზ პაპასქირი (თავმჯდომარე);
2. მარინე გიორგაძე (მდივანი);
3. ირინე გოშხეთელიანი;
4. ნატალია სურგულაძე;
5. ერმილე მესხია;
6. ირინა გველესიანი;
7. ინგა კიკვიძე;
8. ემზარ მაკარაძე;
9. რამაზ ქურდაძე;
10. ნესტან სულავა.

სხდომას არ ესწრებიან საკონკურსო კომისიის წევრები:

1. ვახტანგ ლიჩელი;
2. ნინო აბრალავა;
3. ვალერიან რამიშვილი.

სხდომას ესწრებიან ასევე: საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე მერაბ დიასამიძე და კონკურსის სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრი, კანცელარიის უფროსი ხათუნა ხალვაში.

დღის წესრიგი:

1. *„ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანების საფუძველზე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი* საკონკურსო დოკუმენტაციის/ბაინდერების და ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიღება-ჩაბარება

საპროცედურო კომისიისაგან, ხოლო *კონკუსანტების მიერ* ელექტრონულად *წარმოდგენილი* (მისამართზე bsukonkursi2018@bsu.edu.ge) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრის, კანცელარიის უფროსის ხათუნა ხალვაშისაგან.

2. *„ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანების საფუძველზე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი* **საკონკურსო მასალის** – კონკურსანტების განცხადებების, კონკურსანტების ანკეტებისა და სხვა დოკუმენტაციის **სისრულის შემოწმება** (კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის დადგენა).

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი:

საპროცედურო კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ დიასამიძემ განმარტა, რომ *„ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანებით* კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 2018 წლის 16 ივლისიდან 20 ივლისის 16 სთ-მდე. **საპროცედურო კომისიაში 128 ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სულ შემოვიდა 141 განცხადება, მათ შორის** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 38 ვაკანტურ თანამდებობაზე 42 **კონკურსანტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.** ეს დოკუმენტაცია მატერიალური სახით მიღებულ იქნა მას შემდეგ, როცა სამუშაო ჯგუფის წევრის ხათუნა ხალვაშისა და საპროცედურო კომისიის დოკუმენტაციის უშუალო მიმღები წევრის მიერ დადასტურდა იმავე საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღების ფაქტი. ინფორმაცია საკონკურსო დოკუმენტაცის მიღების დასრულების შემდეგ გამოქვეყნდა ბსუ-ს ვებგვერდზე, კონკურსების ველში.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების თანახმად, საპროცედურო კომისია და სამუშაო ჯგუფის წევრი, რომელიც იღებს ელექტრონულ მასალას, ვალდებულია კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაცია გადასცეს საკონკურსო კომისიას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

1. საპროცედურო კომისიის ინფორმაცია მიღებული იქნეს, საკონკურსო კომისიამ (თავმჯდომარის/მდივნის ხელმოწერით) მიიღოს საკონკურსო დოკუმენტაცია და ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი მასალა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. *საკონკურსო კომისიამ ასევე ჩაიბაროს კონკურსანტების მიერ* ელექტრონულად წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრის, კანცელარიის უფროსის ხათუნა ხალვაშისაგან და გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი (აღნიშნული აქტები დაერთოს წინამდებარე ოქმს).

მოისმინეს დღის წესრიგის მე-2 საკითხი:

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, პროფ. თ. პაპასქირმა განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხის შესაბამისად უნდა შევისწავლოთ საპროცედურო კომისიისაგან მიღებული საკონკურსო მასალა და დავადგინოთ, თუ არის ის სრული სახით წარმოდგენილი და კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობაში.
კომისიის მდივანმა, პროფ. მ. გიორგაძემ კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი ინფორმაციით, კონკურსში მონაწილე ერთი პირის, ასოც. პროფ. ქეთევან სვანიძის, მიმართ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შემოსულია საჩივარი და დაწყებულია საქმის მოკვლევა.
კომისიის თავმჯდომარემ, პროფ. თ. პაპასქირმა აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ ზეპირი ინფორმაციაა, კომისიისთვის ოფიციალურად არ მოუმართავთ, შესაბამისად, კომისია ვერ იმსჯელებს ამ საკითხზე, რომელიც არ შედის მის კომპეტენციაში.

კომისიის წევრებმა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტების განხილვის შემდეგ ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

1.*„ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N 01-08/64 ბრძანების საფუძველზე -ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის -------38---- ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად წარმოდგენილი საკონკურსო განცხადებები და დოკუმენტაცია, მათი პირველადი განხილვის საფუძველზე როგორც დადგინდა:*

ა) შესაბამისობაშია კონკურსის ძირითად პირობებთან შემდეგი კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაცია:

1. ანთიძე ლალი
2. ბერიძე ვარდო
3. მასალკინი გიორგი
4. ბაგრატიონი ირმა
5. კიკვაძე მაია
6. ბარამიძე მაია
7. ფარტენაძე ნათელა
8. ცეცხლაძე ნანა
9. მაკარაძე ელგუჯა
10. ტრაპაიძე ნანა
11. ბახტაძე გურამ
12. შამილიშვილი ინგა
13. ავალიანი თემურ
14. ხალვაში ლევან
15. ბარამიძე ირაკლი
16. ქათამაძე ციური
17. კარალიძე ჯემალ
18. ხახუტაიშვილი ნანა

19. ზოსიძე ნუგზარ
20. ფუტკარაძე თამაზ
21. ხალვაში მერაბ
22. კახიძე ემზარ
23. ჯინჭარაძე მარინა
24. შაშიკაძე ზაზა
25. ლორია მანუჩარი
26. თანდილავა ლილე
27. ბერიძე თეონა
28. დიასამიძე ვიქტორია
29. ბერიძე ხათუნა
30. გვარიშვილი ზეინაბ
31. დვალიძე ნინო
32. არეშიძე ნინო
33. შავლაძე თეა
34. გუმბარიძე ჟუჟუნა
35. მაზმიშვილი ნანა
36. ქათამაძე ნათია
37. სიორიძე მარინე
38. არძენაძე ასმათ
39. ახვლედიანი მერაბ
40. სვანიძე ქეთევან
41. ქაჯაია ნანა
42. ხახუტაიშვილი ნანა

2. წინამდებარე საოქმო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (გადაიგზავნოს ინფორმაცია ელექტრონული მისამართზე: web@bsu.edu.ge).
3. მომდევნო სხდომაზე მოხდეს კონკურსანტების შეფასება და შევსებული იქნეს *თითოეულ კონკურსანტზე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების დანართი N4 (კონკურსანტის შეფასების ფორმა).*

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე /თ. პაპასქირი/

მდივანი /მ. გიორგაძე/